



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 31 16

08/01/2019

16-31-4-201901081809



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლების საერთო კრებებისა და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85³ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85⁴ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წელის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

3. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №1 დანართის მიხედვით.

4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და

კეთილმოწყობის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დან 18 საათამდე, 2019 წლის 14 იანვრის ჩათვლით.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

მალხაზ ჩხეიძე მობილურის N595959601, ელ.ფოსტა: malkhazchkheidze@gmail.com

იონა ჯოჯუა მობილურის N 595957598, ელ.ფოსტა: iona.jojua@gmail.com

კობა გოგიძე მობილურის N 595085202, ელ.ფოსტა: koba-gogidze@mail.ru

7. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრამის ქ. №11) .

გრიგოლ იოსელიანი



მუნიციპალიტეტის მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია